


„აფხაზთა სამეფო“ იყო ერთ-ერთი ადრინდელი ფეოდალური ქართული სახელმწიფო, რომელსაც აგრეთვე უწოდებდნენ ეგრის-აფხაზეთის სამეფოს (VII საუკუნის 80-90-იანი, X საუკუნის 80-იანი წწ.) იგი დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შედეგად წარმოიქმნა და ზოგიერთი წყაროს თანახმად საფეოდალოს მთავრები ეგრისის მეფეებად იწოდებოდნენ. იგი მოიცავდა ნიკოფსიიდან დაახლოებით ჭოროხამდე, აღმოსავლეთით კი ლიხის-სურამის ქედამდე ტერიტორიას. აფხაზთა სამეფოს მოსახლეობის უმრავლესობა ქართველები - ქართველი, მეგრელები და სვანები იყვნენ. მნიშვნელოვან წილს შეადგენდნენ აფხაზები და კავკასიის სხვა ხალხები და ტომები. სახელმწიფო და მოსახლეობის დიდი უმრავლესობის სალაპარაკო ენა იყო ქართული.



აფხაზთა სამეფოს კულტურული და საეკლესიო პოლიტიკა ნაკარნახევი იყო მთელი საქართველოს საერთო ინტერესებით. აფხაზთა სამეფოს მმართველმა წრეებმა, ჯერ კიდევ IX საუკუნეში, გაანთავისუფლეს თავისი ეკლესია კონსტანტინოპოლის პატრიარქის დამოკიდებულებისაგან და მცხეთის კათალიკოსს დაუქვემდებარეს. აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია ბიჭვინთა (აფხაზეთის საკათალიკოსო) იყო.

აფხაზთა სამეფო დაყოფილი იყო 8 საერისთავოდ - აფხაზეთის, ცხუმის, ბედიის, სვანეთის, რაჭა-თაკვერის, გურიის, ქუთათისის და შორაპნის. აფხაზთა სამეფოს პერიოდში ფართოვდება ტერმინების - აფხაზეთის და აფხაზების მნიშვნელობა როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში. ამ ტერმინების ქვეშ იგულისხმება მთელი დასავლეთ საქართველო და მისი მოსახლეობა. თუმცა ტერმინები ეგრისი და ეგრისელები ისევე რჩება ხმარებაში.

აფხაზეთის ტერიტორია 1864 წელს ანექსირებულ იქნა რუსეთის იმპერიის მიერ, რომელმაც გააუქმა აფხაზეთის სამთავრო და მას სოხუმის ოკრუგი უწოდა.

1918-21 წლებში აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაშია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვალს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც ეხება ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობას. კერძოდ, კონსტიტუციის მეთერთმეტე თავში გამოცხადებულია ავტონომიური მმართველობა „აფხაზეთში (სოხუმის ოლქი)“, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებადაა აღიარებული (მუხლი 107). ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები ყოველთვის იყო გათვალისწინებული საქართველოში. ამაზე მეტყველებს ჯერ კიდევ 1918 წლის 13 სექტემბრს მიღებული კანონი „საქართველოს ეროვნულ საბჭოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის შესახებ“. 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ანექსია. იმავე წლის 4 მარტს შეიქმნა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა; 16

დეკემბერს აფხაზეთის სსრ-მ მიიღო ე.წ. ხელშეკრულებითი რესპუბლიკის სტატუსი და, ფაქტობრივად, შევიდა საქართველოს შემადგენლობაში. 1931 წელს საქართველოსა და აფხაზეთის საბჭოების ყრილობის გადაწყვეტილებით აფხაზეთი იქცა ავტონომიად საქართველოს სსრ შემადგენლობაში. აფხაზეთის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი მდგომარეობა ფიქსირებული იქნა სსრ კავშირის 1936 წლის, საქართველოს სსრ 1937 წლისა და აფხაზეთის ასსრ 1937 წლის კონსტიტუციებში, შემდეგ კი სსრ კავშირის 1977 წლის, საქართველოს სსრ 1978 წლისა და აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციებში. ამიტომ უსაფუძვლოა აფხაზი სეპარატისტების ცდები, ბოლშევიკური მანიპულაციების შედეგად რამდენიმე წლის განმავლობაში აფხაზეთისათვის ავტონომიის სტატუსის შეცვლის ფაქტის საფუძველზე, გამოაცხადონ აფხაზეთი ისტორიულად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და ჩამოაშორონ საქართველოს მისი განუყოფელი ნაწილი. აფხაზური სეპარატიზმი საბჭოთა წლებში იძენს ორგანიზებულ ხასიათს. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ერთ-ერთი სერიოზული გამწვავება ემთხვევა სსრკ-ის ახალი 1978 წლის კონსტიტუციის მიღების პერიოდს და მისი საბაზი ხდება აფხაზეთის სტატუსის საკითხი; 1985 წლიდან დაწყებულმა „პერესტროიკად“ წოდებულმა პროცესებმა ქართველ ერს საშუალება მისცა ეწარმოებინა ღია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ცხადია, მას მკვეთრად დაუპირისპირდა ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობა. ამან თავის მხრივ გამოიწვია აფხაზთა სეპარატისტული მოძრაობის გააქტიურება.

1989 წლის 18 მარტს, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში აფხაზების დიდი შეკრება გაიმართა. მასზე მიიღეს მიმართვა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობის სახელზე. მიმართვაში საბჭოთა კავშირის ფარგლებში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისგან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გამოყოფა მოითხოვეს. ლიხნის წერილს ხელს აწერდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომპარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი - ბორის ადლეიბაც.

18 მარტის მიმართვის შინაარსის გახმაურებამ მთელს საქართველოში მღელვარება გამოიწვია, განსაკუთრებით კი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. 1989 წლის 1 აპრილს ქართველების საპროტესტო მიტინგი გაიმართა რუსეთის საზღვართან, დაბა - ლესელიძეში, 3 აპრილს კი სოხუმის ცენტრში მოეწყო დიდი მიტინგი, მასზე სიტყვით გამოვიდნენ მერაბ კოსტავა, ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი, დიმიტრი ჯაიანი, ვოვა ვეკუა. მიტინგის დასრულების შემდეგ ლიდერები შეთანხმდნენ 4 აპრილიდან დედაქალაქში დაწყებულიყო მასობრივი პოლიტიკური აქციები. აქციების მიზანი ლიხნის შეკრების ორგანიზატორების დასჯის მიღწევა უნდა ყოფილიყო. თბილისში საპროტესტო აქციები "ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" თაოსნობით დაიწყო, თუმცა მალევე 1989 წლის 16-17 ივლისს სოხუმში, ქართული და აფხაზური მოსახლეობის ერთ ნაწილს შორის პირველი შეიარაღებული შეტაკება მოხდა. გავრცელებული მოსაზრებით, შეტაკებების გამომწვევი მიზეზი სოხუმის უნივერსიტეტის მისაღები გამოცდებისას მომხდარი ძალადობის ფაქტები გახდა. ამ

ფაქტებისაგან გამოწვეული სამოქალაქო მღელვარება სწრაფად გადაიზარდა შეიარაღებულ შეტაკებებში, რომელთა შედეგად დაიღუპა 16 და დაიჭრა 140-მდე მოქალაქე, ძირითადად ეთნიკური ქართველი, მათ შორის, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ერთ-ერთი ლიდერი, ვოვა ვეკუა. მაშინ დაპირისპირების დროებით ჩაცხრობა მოხერხდა.

საბჭოთა კავშირის მთავრობა ამ პერიოდში უკვე თავად იმყოფებოდა ყოფნა-არყოფნის საკითხის წინაშე და შესაბამისად, ეთნიკური დაპირისპირების აღმოფხვრისათვის არანაირი ქმედითი ზომა არ მიუღია, მეტიც პროტეტის ტალღას თბილისში - რუსთაველზე და შემდეგ მთავრობის სახლთან, საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელობაზე ამ გზით ზეწოლას შედეგი ჰქონდა. "სოხუმში ჩავედი და კომპარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ადლები გავათავისუფლე, აფხაზეთის მთელი საზოგადოება ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემს გვერდით იყო, აფხაზი მწერალი ბაგრატ შინკუბაც კი," – იხსენებდა ერთ-ერთ ინტერვიუში ჯუმბერ პატიაშვილი, რომელსაც 1989-ში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტი ეკავა.

ადლებას გათავისუფლებით ლიხნის პეტიციის ავტორების ერთგვარი დასჯა მოხდა. ეს თითქოსდა უნდა გამხდარიყო რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარე აქციის დაშლის საბაზი. აქციის ინიციატორები, "ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" წევრები დაშლის მომხრეები იყვნენ, მაგრამ მათი პოზიცია გადამწყვეტი ვერ გახდა. თბილისში მიმდინარე აქციაზე აფხაზეთის საკითხმა უკან გადაიწია და მთავარი მოთხოვნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გახდა.

რამდენიმე თვეში, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ასეთი შინაარსის მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთი ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, სახალხო დეპუტატი **ვლადისლავ არძინბა:**

„განსაკუთრებით გართულდა ვითარება 1988 წლის ბოლოს. თბილისში მიმდინარე მიტინგებზე გაისმა აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების მოწოდებები... დემოკრატიის სახელით მოქმედი საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლები აფხაზეთის ქართულ მოსახლეობაში ანტიაფხაზურ განწყობებს აღვივებდნენ. გასული წლის დეკემბერში სოხუმში არასანქცირებული მიტინგი გამართეს. რესპუბლიკის აფხაზი და არა მარტო აფხაზი მოსახლეობა სერიოზულად აღაშფოთა სახელმწიფო ენის მხარდასაჭერი პროგრამის განხილვამაც.. მათი გულისწყრომის მიზეზი იყო ისიც, რომ ასეთ ქმედებებს არ მისცა შეფასება რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ. ყველაფერი ერთად გახდა მიზეზი იმის, რომ 1989 წლის 18 მარტს, სოფელ ლიხნის ისტორიულ მოედანზე, სადაც წყდებოდა ხოლმე აფხაზი ხალხისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, სანქცირებული მიტინგი ჩატარდა. მასზე მიიღეს მიმართვა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობისა და რამდენიმე სამეცნიერო ინსტიტუტის სახელზე. მიმართვას ხელი მოაწერა 32000 პირმა, მათ შორის პარტიულმა ხელმძღვანელებმა, აფხაზი ეროვნების დეპუტატებმა. ყველამ ერთად აფხაზეთისთვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

სტატუსის აღდგენა მოითხოვა, რომელიც მას გააჩნდა 1921 წელს, ვლადიმერ ლენინის სიგოცხლეში“.

დაძაბულობის ფონზე მოსკოვი ქმნიდა რესპუბლიკებში მიმდინარე ეთნიკური დაპირისპირების შემდგომი გაღვივების **იურიდიულ ბაზას**. 1990 წლის 3 აპრილს მოსკოვში მიიღეს ახალი კანონი სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის წესის შესახებ, რომელმაც ხელი შეუწყო ავტონომიურ წარმონაქმნებში სეპარატისტული განწყობის შემდგომ განვითარებას. სსრკ კანონი მოკავშირე რესპუბლიკების გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესს ასე განსაზღვრავდა:

მუხლი 3: „*მოკავშირე რესპუბლიკაში, რომლის შემადგენლობაში არიან ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები, ავტონომიური ოკრუგები, რეფერენდუმი ეწყობა ცალკე თითოეულ ავტონომიაში. ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ფორმირებების ხალხებს უნარჩუნდებათ სსრ კავშირში ან გამავალ მოკავშირე რესპუბლიკაში ყოფნის საკითხის დამოუკიდებელი გადაჭრის, აგრეთვე - თავისი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსის საკითხის დაყენების უფლება*“

ეს პირდაპირი გამოწვევა და 20-იან წლებში ჩადებული „ნელი მოქმედების ნაღმების ამოქმედების“ პოლიტიკის კულმინაცია იყო. შესაბამისად, თბილისსა და სოხუმში რეაქციამ არ დააყოვნა.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა სამართლიანი არჩევნები. 1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე მიიღო დეკლარაცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საქართველო იყო პირველი რესპუბლიკა, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ამან კიდევ უფრო გააძლიერა რუსული აგრესია. ამ აგრესიის მეტ-ნაკლებად შეკავებისა და გამოსავალის პოვნის მიზნით, ქართული მხარე მნიშვნელოვან დათმობაზე წავიდა. 1991 წლის 9 ივლისს მიღებულ იქნა აფხაზეთის ახალი საარჩევნო კანონი. ამ კანონის მიხედვით აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში უმრავლესობა დაეთმო უმცირესობას - მოსახლეობის 47,5% (ქართველები) პარლამენტში წარმოდგენილ იქნა 26 დეპუტატით; 17,5% (აფხაზები) - 28 დეპუტატით; დანარჩენი (სხვადასხვა ეთნიკური მოსახლეობა) - 11 დეპუტატით; ამავე კანონით განისაზღვრა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო აფხაზი, რომელსაც ეყოლებოდა ორი მოადგილე - ერთი ქართველი და ერთი სხვა ეროვნების; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი დაინიშნებოდა ქართველი. ამ დათმობების მიუხედავად, აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელობა უამრავ არაკანონიერ ქმედებას ახორციელებდა, იღებდა ანტიკონსტიტუციურ სამართლებრივ აქტებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება, რომლის თანახმადაც, აფხაზეთის ტერიტორიაზე იურიდიული ძალის არმქონედ და გაუქმებულად გამოცხადდა საქართველოს კანონები. სეპარატისტული „კანონშემოქმედებითი“ საქმიანობის უკანასკნელი გამოვლინება იყო 1992 წლის

23 ივლისს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც შეწყდა აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედება და აღდგენილ იქნა აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუცია. აფხაზეთის თვითგამოცხადებულმა ხელმძღვანელობამ რეგიონის დამოუკიდებლობის შესახებ განაცხადა. ამ განცხადებას საერთაშორისო აღიარება არ მოჰყოლია. აღსანიშნავია, რომ ამ ე.წ. კონსტიტუციის ამოქმედება საბჭოთა რეჟიმის პირობებშიც კი არ მომხდარა. თავის დროზე აფხაზეთის საბჭოების მესამე ყრილობამ გადაწყვიტა, დაესრულებინა წარმოდგენილი კონსტიტუციის პროექტი და შესაბამისობაში მოეყვანა საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციებთან. კონსტიტუციის ტექსტი, რომელიც განხილულ იქნა აფხაზეთის საბჭოების მესამე ყრილობის მიერ, არ გამოქვეყნებულა. 1925 წლის კონსტიტუციის მიხედვით, აფხაზეთის სსრ მოსახლე ყველა ეროვნებისათვის უზრუნველყოფილი იყო მშობლიური ენის თავისუფალი განვითარებისა და გამოყენების უფლება როგორც თავის ეროვნულ-კულტურულ, ისე საერთო-სახელმწიფო დაწესებულებებში, აფხაზეთის სსრ სახელმწიფო დაწესებულებათა ენად კი აღიარებული იყო რუსული ენა.

ამრიგად, 1992 წლის 23 ივლისს, სეპარატისტულად განწყობილი ძალების მიერ, რუსეთის წახალისებითა და ხელშეწყობით გამოტანილმა დადგენილებამ - *ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს კონსტიტუციის მოქმედების შეჩერების თაობაზე*, 22 დღიანი *იურიდიული ომი*, ცენტრსა და რეგიონს შორის *შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაზარდა*.